



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 მაისი 2026



N 299/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

წყალტუბოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში შპს „GC Group“-ის დაახლოებით 20,3 კილომეტრი სიგრძის გაზსადენის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „GC Group“-ის მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 9.11 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (5 კილომეტრზე მეტი სიგრძის მილსადენის გაყვანა ნავთობის, გაზის ან ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) ტრანსპორტირების მიზნით) სკრინინგის განცხადება და დამატებითი №6138 წერილი.

2025 წლის 24 ნოემბერს ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე სააგენტოს მიერ გამოცემულია „წყალტუბოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში შპს „GC Group“-ის დაახლოებით 20,3 კილომეტრი სიგრძის მაღალი წნევის გაზსადენის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №726/ს ბრძანება, რომლის საფუძველზეც დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს დაექვემდებარა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვინაიდან გზშ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო საპროექტო გაზსადენის დერეფანში არსებული მეწყრული უბნები და საშიში გეოდინამიკური პროცესების თავიდან ასაცილებლად დადგინდა საპროექტო ტერიტორიის დამატებით შესწავლის, შეფასების და შესაბამისი პრევენციული/დამცავი ღონისძიებების განსაზღვრას საჭიროება, სკოპინგის პროცედურის დაწყებამდე, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა მითითებული მეწყრული უბნების შესასწავლად. საპროექტო ტერიტორიის ადგილზე შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, აღნიშნულ ტერიტორიაზე მეწყრულ-ეროზიული უბნების გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს. საკითხის დაზუსტების მიზნით, სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის მიწერილი კორესპონდენციის პასუხად, 2026 წლის 14 იანვრის N2-14/212 წერილით შპს „GC Group“-ს ეცნობა, რომ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-16) ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 3+400-დან კმ 21+900-მდე მონაკვეთში დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების დასრულება განსაზღვრულია 2026 წლის 30 აპრილის ჩათვლით, ხოლო საავტომობილო გზის კმ 6+000, კმ 9+050 და კმ 19+600-ში დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის მიზნით ჩასატარებელ სამუშაოებზე დაგეგმილია ტენდერის გამოცხადება და სამუშაოების დასრულების ვადა, სატენდერო პროცედურების დასრულების შემდეგ განისაზღვრება. ამასთან, შპს „GC Group“-ის №6138 წერილით დამატებით წარმოდგენილი იქნა სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2026 წლის 27 აპრილის MOI-RD N 2-14/6371 კორესპონდენცია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ კმ 3+400-დან კმ 21+900-მდე მონაკვეთში დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები დასრულებულია.

ამასთან, 2026 წლის მარტში დათვალიერებული იქნა მიმდინარე და ჩატარებული სავლე სამუშაოები, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-16) ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-

მამისონის უღელტეხილის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 4 მონაკვეთზე – კმ 5+600, კმ 7+300, კმ 7+800 და კმ 18+550 (საპროექტო გაზსადენის ტრასის პკ 51-თან, პკ 66+50-თან, პკ 72-თან და პკ 168-თან), სადაც საპროექტო გაზსადენი მეწყრულ-ეროზიულ უბნებს გადაკვეთს, აღნიშნული უბნების ხიმიანჯოვანი საყრდენი კედლების საშუალებით გამაგრების სამუშაოები დასრულების სტადიაშია. აღნიშნული ღონისძიება სრულად უზრუნველყოფს გაზსადენის უსაფრთხო გატარებას. საპროექტო გაზსადენის დერეფანთან ახლოს მდებარე რამდენიმე მონაკვეთზე, სადაც მცირე გეოდინამიკური პროცესების გააქტიურება შეინიშნება, სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უკვე ჩაატარა საპროექტო სამუშაოები და იწყებს სხვადასხვა დამცავი ნაგებობების (კედლები, სადრენაჟე არხები, წყალგამტარი კოლექტორები და ა.შ.) მშენებლობას, რაც სრულად უზრუნველყოფს საავტომობილო გზისა და გაზსადენის დერეფანში აქტიური გეოდინამიკური პროცესების ლიკვიდაციას.

აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტს გადაეგზავნა. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, გაზსადენის მოწყობის სამუშაოების წარმოებისას გათვალისწინებული უნდა იქნას სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2025 წლის 11 აგვისტოს MOI-RD N 2-11/10744 წერილით შეთანხმებული ტექნიკური პირობები. მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო გაზსადენის სამშენებლო სამუშაოები შესრულება რეკომენდირებულია სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების დასრულების შემდგომ, მათ მიერ გაცემული ტექნიკური პირობის სრული დაცვით.

ამასთან, დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდება ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით შედგენილი პროექტის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საპროექტო გაზსადენის ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური საფრთხეები შემცირდა, შპს „GC Group“-ის მიერ წარმოდგენილი იქნა განახლებული სკრინინგის განცხადება და მოთხოვნილი იქნა სააგენტოს მიერ 2025 წლის 24 ნოემბერს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №726/ს) ძალადაკარგულად გამოცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ცაგერის, ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების გაზომარაგების მიზნით, შპს „GC Group“-ის მიერ, ქუთაისის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, სოფელი ნოღადას სოფელ ნამოხვანამდე, დაგეგმილია დაახლოებით 20,3 კილომეტრი სიგრძისა და 300 მილიმეტრი დიამეტრის მქონე მილსადენის გაყვანა, რომელიც განკუთვნილი იქნება გაზის ტრანსპორტირებისთვის. დაგეგმილი საქმიანობა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო გაზსადენის დერეფანი სოფელი ნოღადას დაიწყება, გადაკვეთს მდინარე რიონს, ასევე, მცირე მდინარეებს, ღელეებს და არხებს, გაივლის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-16) ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის გასწვრივ და სოფელ ნამოხვანაში დასრულდება. საპროექტო გაზსადენის საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატებია: X-312343.3 Y-4686002.0; X-310879.4 Y-4698952.5. საპროექტო გაზსადენის ძირითადი ნაწილი მიწის ქვეშ იქნება გაყვანილი, ხოლო მდინარეების, ღელეების და არხების გადაკვეთებზე – მიწის ზევით. საპროექტო გაზსადენის დერეფანი სხვადასხვა საკომუნიკაციო ქსელებს და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ს გადაკვეთს, რაც შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე განხორციელდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო გაზსადენის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა დაახლოებით 24 თვეს შეადგენს. აღნიშნულ სამუშაოებში გამოყენებული იქნება შემდეგი ტექნიკა-დანადგარები: 8 ავტომწე; 8 თვითმცლელი; 7 ექსკავატორი; 4 მილმზიდი; 4 კომპრესორი; 4 ბოზკატი; 4 გენერატორი; 4 ელექტროშედულების აპარატი; 4 მოძრავი ელ. სადგური (საკი); 4 კომპლექტი ელექტრო და პნევმატიკური ინსტრუმენტი; 3 ვიბრაციული სატკეპნი; 3 წყლის სატუმბი დანადგარი (პომპა); 2 ავტოგრეიდერი; 2 მცირეგაბარითიანი თვითმცლელი; 2 ასფალტის და ბეტონის გზის საჭრელი ელ. აპარატი; 2 ქვის საჭრელი ელ. აპარატი; 1 ავტოგენური შედულების აპარატი. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, სამშენებლო მოედნისთვის გამოიყოფა შესაბამისი ტერიტორია, სადაც სამშენებლო ავტოტრანსპორტი და

ბიოტუალეტი განთავსდება. სამშენებლო მასალა და მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკური ელემენტები ტერიტორიაზე ადგილობრივი მიმწოდებლებისაგან შევა და ადგილზე მათი წარმოება არ მოხდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გაზსადენის მიწისქვეშა მონაკვეთის გასაყვანად მოეწყობა ტრანშეა, რისთვისაც მოიხსნება გრუნტისა და ასფალტის საფარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რიგ უბნებზე – ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მოხსნილი ასფალტის საფარი აღდგენას დაექვემდებარება, ექსკავირებული გრუნტის ძირითადი ნაწილი უკუყრისთვის იქნება გამოყენებული, ხოლო მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით განხორციელდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო გაზსადენის მიერ მდინარე რიონის გადაკვეთა გათვალისწინებულია არსებულ ლითონის ხიდზე დამაგრებით (მიწისზედა გადატარებით), ხოლო მცირე მდინარეების, ღელეების და არხების გადაკვეთისთვის ზედაპირული წყლის ობიექტების ნაპირებთან მოეწყობა საყრდენები, წყალდაცვითი ზოლისთვის განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. საპროექტო გადაწყვეტა ზედაპირული წყლის ობიექტების კალაპოტში სამუშაოების განხორციელებას/ტექნიკის გადაადგილებას არ ითვალისწინებს და ზედაპირული წყლის ობიექტებთან დაგეგმილი სამუშაოები დაახლოებით 3-4 დღის განმავლობაში გაგრძელდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო გაზსადენის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკა-დანადგარები. ვინაიდან საპროექტო გაზსადენი ხაზობრივ ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო სამშენებლო სამუშაოებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების მობილური წყაროები იქნება გამოყენებული, დამაბინძურებელი ნივთიერებები და ხმაური ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის მთელ სიგრძეზე შესაძლებელია გავრცელდეს, რაც წერტილოვანი ზემოქმედების ეფექტს შეამცირებს. თითოეულ დასახლებულ პუნქტში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოები პერიოდული იქნება და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის წარმომქმნელი წყაროები მხოლოდ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში დაგეგმილი მონაკვეთის მოწყობის პერიოდში იმუშავებს, რაც მთლიანი საპროექტო გაზსადენის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების საერთო პერიოდზე ნაკლებია. ამასთან, სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკის გამართულობა და გადაადგილების სიჩქარეები მუდმივად გაკონტროლდება, ხოლო სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ დღის საათებში შესრულდება. რაც შეეხება საპროექტო გაზსადენის ექსპლუატაციას, აღნიშნულ ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია არასახიფათო (კოდები: 20 03 01; 17 04 07; 17 05 04) და სახიფათო ნარჩენების (კოდები: 15 02 02*; 17 05 03*) წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, ხოლო მათი შემდგომი მართვა საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დაცვით განხორციელდება. ამასთან, საპროექტო გაზსადენის მშენებლობის დაწყებამდე სააგენტოსთან კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო გაზსადენის დერეფანი, რიგ მონაკვეთებში, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე გაივლის. სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp-ფაილით წარმოდგენილი 40 1992 მ² ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 27 238 მ² სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაექვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარეობს. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 27 238 მ² ფართობიდან 340 მ² სრულად ზედდება მია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგ მიწის ნაკვეთებთან (ს/კ: 29.03.31.829; 29.03.31.830; 29.03.31.545; 29.03.34.184; N29.03.37.402). ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სსიპ

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ტყითსარგებლობის უფლება არ ფიქსირდება და დაგეგმილი საქმიანობა სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას საჭიროებს, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო გაზსადენის დერეფანი გაივლის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიებზე, კერძოდ, დასახლებული პუნქტებისა და საავტომობილო გზის მიმდებარედ, სადაც ბიომრავალფეროვნების სენსიტიური სახეობები და ცხოველთა საბინადრო ადგილები არ გვხვდება. მიწის სამუშაოების წარმოებისას პირდაპირ ზემოქმედებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მუშაობებისას, ასევე ქვეწარმავლებზე და ამფიბიებზე, თუმცა, მილსადენისთვის განკუთვნილი თხრილები მაქსიმალური სიფრთხილით მოეწყობა და მათში ცხოველების ჩავარდნისა და დაზიანების რისკების შემცირების მიზნით შემოისაზღვრება. გარდა ამისა, თხრილები ყოველდღიურად დათვალიერდება, მასში შემთხვევით მოხვედრილი ცხოველის ამოყვანისა და ბუნებაში გაშვების მიზნით. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ზედაპირული წყლის ობიექტების გადაკვეთა მიწისზედა ტექნიკური გადაწყვეტით მოხდება, ხოლო ხე-მცენარეების ჭრას ადგილი არ ექნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, ჩატარებული ზედაპირული დაზვერვების შედეგად, საპროექტო ტერიტორიაზე ხილული არქეოლოგიური ძეგლი/ობიექტი და არტეფაქტები არ ფიქსირდება და მისი ძირითადი ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რაიმე სახის დაცვის არეალში არ ხვდება. თუმცა, საპროექტო ტერიტორიის გარკვეული ნაწილი სოფელ ჟონეთში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის – „ღვთისმშობლის ეკლესიის“ ფიზიკური დაცვის არეალში ხვდება და მასზე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები ვრცელდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შპს „GC Group“-ის მიერ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იყო წინასწარული არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ანგარიში, რომელზეც სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ პოზიცია დააფიქსირა 2025 წლის 17 ივლისის №17/2270 წერილით. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა უნდა განხორციელდეს მითითებულ წერილში სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერ დაფიქსირებული მოთხოვნების დაცვით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტი) მოპოვების ლიცენზიის აღების მიზნით სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი ID-214785 განაცხადის კონტურს, რომელზეც ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს. შესაბამისად, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე დააფიქსიროს პოზიცია ზემოქმედების არეალში მოქცეულ ტერიტორიასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებას საჭიროებს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა წყალტუბოს და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობებთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 9.11 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ წყალტუბოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში შპს „GC Group“-ის დაახლოებით 20,3 კილომეტრი სიგრძის გაზსადენის გაყვანა არ დაექვემდებაროს გზშ-ს.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში შპს „GC Group“-ის დაახლოებით 20,3 კილომეტრი სიგრძის მაღალი წნევის გაზსადენის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სააგენტოს 2025 წლის 24 ნოემბრის №726/ს ბრძანება.
3. შპს „GC Group“-ი ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „GC Group“-ს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „GC Group“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
6. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და წყალტუბოს და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/299-21-4-202605051500>

